ხუთწლედის რეკორდული ნაბიჯები

წლის მთავარი გამოცდა საქართველოს მიწათმოქმედებმა წარმატებით ჩააბარეს. სამშობლოს ბეღლებში დაბინავდა 151 ათასი ტონა მარცვლეული. მოწეულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის არნახული მოსავალი — 585 ათასი ტონა გაიგზავნა გადამმუშავებელ საწარმოებში. ეს არის წლევანდელი სეზონის რთული ამინდის პირობების მიუხედავად სოფლის მშრომელთა დამკვრელური მუშაობის შედეგი.

სოფლის მეურნეობის მშრომელებს, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს შრომითი გამარჯვება მიულოცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამ მოვლენის გამო 17 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ პურის ყანებისა და ჩაის პლანტაციების გმირები, მოწინავე კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, დამამზადებელი, სატრანსპორტო და გადამმუშავებელი საწარმოების მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისინი, რომელთა ერთობლივი მეცადინეობით იჭედებოდა ხუთწლედის მეორე წლის გამარჯვება. თითოეული მათგანისათვის მისალმების გულითადი სიტყვები სტიმულია იმისა, რომ კიდევ უფრო გაშალონ ბრძოლა სასურსათო პროგრამის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოხაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი,** ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საქართველოს შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საზეიმო მიტინგი

მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ლ. ქართველიშვილმა.**

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

მიტინგის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც, გამოხატეს რა თავიანთი შრომითი კოლექტივების აზრები და გრძნობები, აღუთქვეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაშლიან ბრძოლას სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების შემდგომ ზრდას, ახალ წარმატებებს მიაღწევენ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. (საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 222
(7283)

20
1982 წ.
ნოემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● ტანვარჯიში

სპორტსაზოგადოებათა მთავარი ამოცანა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მუშა ჯგუფის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი: სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილების „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“ შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე.

სპორტსაზოგადოება „განთიადი“ ერთ-ერთი წამყვანი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებაა, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, მსხვილ საწარმოთა ათიათასობით ფიზკულტურელს. ამ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს უნარიან, ენერგიულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე არსებულ იმ გლობალურ ამოცანათა გადაწყვეტა, რომლებიც დასახეს სკკპ XXVI ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგენილებაში „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“.

სპორტსაზოგადოების, რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ა. გიორგობიანი), პრეზიდიუმი გარკვეულ მუშაობას ატარებენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით: საზოგადოება გადაჭარბებით ასრულებს ფიზიკური კულტურის და სპორტის განვითარების გეგმებს, რისთვისაც რეგულარულად ჯილდოვდება პროფკავშირების საკავშირო სპორტული საზოგადოება „ტრუდის“, საქართველოს პროფსაბჭოს და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ერთობ გაზრდილი სადღეისო მოთხოვნები, ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციათა წინაშე დასახულ ამოცანათა მასშტაბები ყველა უბანზე, მათ შორის სპორტულ საზოგადოებებში, გაცილებით დაძაბულ, მიზანსწრაფულ და შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით კი „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, არ იგრძნობა გარდატეხა, მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის რადიკალური გარდაქმნა, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თადგენილება.

მუშა ჯგუფის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოძველდა „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები, ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობის ფორმები, სპორტსაზოგადოების საქმიანობა ძირითადად მიმართულია მაღალი თანრიგის ცალკეულ სპორტსმენთა მომზადებაზე, ციფრობრივი მონაცემების შესრულებაზე. ამ დროს კი ყურადღების მიღმა რჩება მთავარი მნიშვნელობის საკითხები — ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლა, ფაბრიკა-ქარხნების ფიზკულტურული კოლექტივების ამოქმედება, მათი ორგანიზაციული და მატერიალური განმტკიცება, მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმა რეგულარულ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა საერთო მიზნისთვის შეკავშირებას.

რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობაში არ იგრძნობა შემოქმედებითი ინიციატივა, სიახლის ძიება, არ ინერგება მოწინავე გამოცდილება. საზოგადოებაში ფორმალურად მიუდგნენ ცნობილი მოსკოველი ბრიგადირის ხ. ზლობინის საინტერესო და მეტად მნიშვნელოვან თაოსნობას: „მთელი ბრიგადით — სტადიონზე!“ სერიოზული ხარვეზებია საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გამაჯანსაღებელი მუშაობის, ჯანმრთელობის კლუბებისა და კომბინატების ჩამოყალიბების, ამ მიმართებით საქმიანობის ორგანიზაციაში. მოძველდა მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებების ჩატარების სისტემა, საზოგადოების სპორტულ ღონისძიებათა გეგმაში თითქმის უგულებელყოფილია მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ეტაპობრივად ჩატარების პრაქტიკა.

პრეზიდიუმის სხდომებზე საკითხები ძირითადად ზერელედ იხილება, მათ აკლია სიღრმე, მასშტაბურობა, პრობლემურობა, ამასთან, ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა თუ საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებაზე არ არის დაწესებული მტკიცე კონტროლი, არ ხდება შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, რის გამოც მრავალი საჭირო დადგენილება თუ გადაწყვეტილება განუხორციელებელი რჩება. მაგალითად, პრეზიდიუმის დადგენილება ქართული ჭიდაობის განვითარების თაობაზე არ გასცილებია რესპუბლიკური საბჭოს შენობის კედლებს, არ იქნა დაყვანილი ადგილებამდე. საბჭო ვერ იყენებს ძირეული რგოლების კონტროლისა და ხელმძღვანელობის ისეთ ნაცად ფორმას, როგორიცაა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ეს მნიშვნელოვანი კამპანია ფაქტიურად სტიქიურად მიმდინარეობდა.

უკონტროლობამ, უსისტემო მუშაობამ გამოიწვია ის, რომ „განთიადის“ სისტემაში შემავალ ფიზკულტურულ კოლექტივთა უმრავლესობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება, ზოგან კი საერთოდ არაფერი კეთდება მასობრიობისთვის, მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებისა და საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისთვის. ისეთ მსხვილ ორგანიზაციებშიც კი, როგორებიცაა თბილისის ქარხანა „ელექტროაპარატი“, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები ეპიზოდურად, ერთფეროვნად და უშინაარსოდ ტარდება, მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა არ არის ჩაბმული შიდასაქარხნო სპორტულ ღონისძიებებში, თითქმის მივიწყებულია საწარმოო ტანვარჯიში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა მშთ კომპლექსის დანერგვის საქმეში. მუშა-მოსამსახურეთა, სპორტსაზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი საერთოდ არ აბარებს კომპლექსის ნორმატივებს, ხშირია ფორმალიზმის, მიწერის, თვალის ახვევის შემთხვევები.

საზოგადოების მუშაკები ხშირად თავს იწონებენ ციფრებითა და ცალკეული მონაცემებით, რაც ქმნის მოჩვენებითი კეთილდღეობის განწყობილებას. სტატისტიკურ ანგარიშებში ხელოვნურად გაზრდილი, არარეალური ციფრების მიღმა კი ვერ ხედავენ ფაქტიურ მდგომარეობას, იშვიათად

(დასასრული მე-2 გვ.).

ეძღვნება ლენინურ კომკავშირს

•

პირველი ლიდერები

სპორტის სასახლის სარბიელზე საზეიმო მარშის ხმა გაისმის. სპორტსაზოგადოებათა ნაირფერი დროშებით ხელში მწყობრი ნაბიჯით შემოდიან ლენინური კომკავშირისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის XIII ახალგაზრდული პირველობის მონაწილენი — ისინი, ვინც 5 დღის განმავლობაში უძლიერესის ვინაობა უნდა გაარკვიოს, როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. ასპარეზობის მონაწილეებს მიესალმება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვაჟა ლორთქიფანიძე. გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. გასული წლის ჩემპიონის — შეიარაღებული ძალების გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების კაპიტნებმა, სპორტის ოსტატებმა ირინა ბარაკსანოვამ და იური მოჩალოვმა შეჯიბრების ალამი აღმართეს. ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა ცოცხალი ყვავილები გადასცეს მონაწილეებს. შეკრებილთა წინაშე საჩვენებელი გამოსვლებით წარსდგნენ რესპუბლიკის საუკეთესო ნორჩი აკრობატები...

პირველ დღეს ვაჟები სავალდებულო პროგრამას ასრულებდნენ. გუნდური ბრძოლა პირველობისათვის („ა“ ჯგუფი) თავიდანვე „დინამოს“, „შრომითი რეზერვების“, „ტრუდისა“ და შეიარაღებული ძალების პირველ გუნდებს შორის წარიმართა. უკანასკნელ იარაღზე ასპარეზობის შემდეგ წინ დინამოელები გავიდნენ — 233,03 ქულა. „შრომითი რეზერვებს“ 231,84 ქულა აქვს, „ტრუდს“ — 0,18 ქულით ნაკლები. გასული წლის ჩემპიონმა, არმიელთა კოლექტივმა 228,77 ქულა მოაგროვა. „ბ“ ჯგუფში (სუსტი ჯგუფი) დაწინაურდა „შრომითი რეზერვების“ მეორე გუნდი — 170,02 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან „სპარტაკი“ (167,68) და „ტრუდი-II“ (167,41).

პირად ჩათვლაში წინ არის დინამოელი მიხეილ კოკორინი (55,05), მეორე ადგილზეა ედუარდ გევორქიანი („ტრუდი-I“) — 54,85, მესამეზე — ვლადიმერ ნაუმოვი („ლოკომოტივი“) — 53,85.

18 წლის თბილისელი სპორტის ოსტატი ალექსანდრე ლებედევი (შეიარაღებული ძალები—I) 53,36 ქულით ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა.

კარგად დაიწყო ასპარეზობა 16 წლის თბილისელმა ამირან ბერიანიძემ („შრომითი რეზერვები—I“). ოსტატობის კანდიდატთა შორის იგი 55,40 ქულით ლიდერობს. მეორე ადგილზე მყოფი ვალენტინ მოგილნი („ბურევესტნიკი“) მას 0,40 ქულით ჩამორჩება. ხარკოველმა ოლეგ კაპეტოვმა („დინამო-I“) 54,75 ქულა მოაგროვა. ჩვენი მეორე ტანმოვარჯიშე —16 წლის ლოკომოტიველი ლადო გოგოლაძე მეშვიდე ადგილზეა — 53,55.

(დასასრული მე-4 გვ.).

სურათებზე: ასპარეზობენ კრასნოდარელი ი. ჩერნიოვა და თბილისელი პ. ჩხიკვაძე.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

სპორტსაზოგადოებათა მთავარი ამოცანა

დასასრული

ამოწმებენ ადგილებიდან მოწოდებულ ციფრებს, შერიგებულნი არიან დაგეგმვა-აღრიცხვაში არსებულ სერიოზულ დარღვევებს. სტატისტიკური ანგარიშგება მთლიანად ჩაშლილია ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის (დირექტორი თ. ნინუა, პარტბიუროს მდივანი ნ. შველიძე), საშენი მასალების კომპლექსური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი თ. კვინტარიძე, პარტბიუროს მდივანი თ. ჭუაძე), საწარმოო გაერთიანება ჩარხმშენებელის (დირექტორი გ. ჭიჭინაძე, პარტბიუროს მდივანი ზ. კიკნაველიძე), თეთრეულის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი ლ. ჯაკობია, პარტბიუროს მდივანი მ. თევდორაშვილი), ქარხანა „ელექტროაპარატის“ (დირექტორი ა. ხუროძე, პარტბიუროს მდივანი ა. თალაკვაძე) და სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებში.

„განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო იშვიათად და ზერელედ სწავლობს ძირეულ რგოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებს, მთელი პრინციპულობით არ იბრძვის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ადგილებზე სპორტული ბაზების მშენებლობას, ურიგდება იმ მდგომარეობას, რომ არსებული ბაზები მოუვლელია, ნაკლებეფექტურად, ზოგჯერ კი — არადანიშნულებისამებრ გამოიყენება.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული თვალსაჩინო ნაკლოვანებანი უარყოფით გავლენას ახდენს მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაზე, ეგრეთწოდებული დიდი სპორტისთვის საიმედო რეზერვის აღზრდაზე. ამ სფეროშიც აშკარად შეინიშნება ორგანიზაციული მუშაობის დაბალი დონე, მართვის სისტემაში არსებული ხარვეზები. დღეისათვის სპორტსაზოგადოებაში კულტივირებულია სპორტის 43 სახეობა. სპორტული სახეობების ასეთი სიჭარბე განაპირობებს ერთიანი სპეციალიზაციის უქონლობას, ცალკეული სახეობების არათანაბარ განვითარებას, ამ მიზნისთვის გამოყოფილი სახსრების დაქუცმაცებას და მათ გაუმართლებელ ხარჯვას. შესაბამის უკუგებას ვერ იძლევიან სპორტული კლუბები, ოლიმპიური ცენტრები, ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული და კომპლექსური სპორტული სკოლები. მაღალთანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაში უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ სპორტსაზოგადოების საქალაქო და რაიონულ საბჭოებს.

იშვიათად ტარდება საინტერესო, გამიზნული სპორტული შეჯიბრებები სპორტულ კლუბებსა და კოლექტივებს შორის, დაბალია მასობრიობა, რაც უარყოფითად მოქმედებს პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენაზე და დაოსტატებაზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების რეკორდები სპორტის მთელ რიგ სტრატეგიულ სახეობებში (მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა და სხვ.) დამყარებულია 10-15 წლის წინათ. „განთიადი“ სათანადოდ ვერ ზრუნავს ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები ვერ ასრულებენ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სპორტული ჯგუფები და სექციები ძირითადად სუსტი მომზადების სპორტსმენებით კომპლექტდება. დაბალია მწვრთნელთა კვალიფიკაციის დონე, მათი დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობს, სპორტული ჯგუფები ზოგიერთებისთვის იოლი შემოსავლის წყაროდ იქცა.

ბევრი ხარვეზია კადრების მომზადების, შერჩევის და განაწილების საქმეში. მწვრთნელთა მომზადების დონე ხშირ შემთხვევაში ძალზე დაბალია, საბჭოს პრეზიდიუმი კი ერთობ გულგრილად მუშაობს მათი პროფესიული კომპეტენტურობის ამაღლების, მეთოდური და პრაქტიკული დახელოვნების მიზნით.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ე. ჩახმაჩიანი) არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისადმი იჩენს შემრიგებლურ დამოკიდებულებას, ნაკლებად იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას, პრინციპულად არ ითხოვს და არ სახავს ქმედით ღონისძიებებს, რათა ამაღლდეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი თითოეული კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამუშაო ჯგუფის სხდომამ მთელი პრინციპულობით აღნიშნა, რომ სპორტსაზოგადოება „განთიადში“ შექმნილი მდგომარეობა სერიოზულად შემაშფოთებელია და მიგვანიშნებს, რომ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა მუშაობა აშკარად ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სპორტკომიტეტმა ბოლო პერიოდში გარკვეულად გააქტიურა მუშაობა და ერთგვარი სისტემა შექმნა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა მუშაობის სწორი ორგანიზაციისადმი კონტროლის მიზნით, ნათელია, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ უბანში მუშაობის რადიკალურად გარდაქმნისთვის. სხდომაზე აღინიშნა, რომ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში ძველი მეთოდებით, თვითდინებით მუშაობენ, ნაკლებად ზრუნავენ შესაბამის ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან მწვავედ დასვან პრინციპული საკითხები, დაარწმუნონ ისინი, რომ ადგილებზე მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელ-სპორტული მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნისათვის აუცილებელია კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებების გატარება. ამავე დროს სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ბევრ წარმოება-დაწესებულებაში ფიზკულტურასა და სპორტს უყურებენ როგორც მესამეხარისხოვან საქმეს; პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები ჯერ კიდევ არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას ამ სახელმწიფოებრივი საქმის პრობლემათა მიმართ.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, რომ სპორტსაზოგადოება „განთიადის“ მუშაობაში არსებული წუნი და სერიოზული ხარვეზები დამახასიათებელია სხვა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საქმიანობისთვისაც.

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას, საქართველოს სპორტკომიტეტს დაევალა შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნისა და მკვეთრად გაუმჯობესების, მათდამი ერთიანი ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით.

ცნობა საკითხის განხილვის შედეგების შესახებ სათანადო რეაგირებისათვის, შეთანხმებისამებრ, გადაეგზავნა საქართველოს პროფსაბჭოს.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **ნ. ენდელაძემ.**

წილისყრის შედეგები ცნობილია

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ მოაწყო სპორტულ თამაშებში მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების წილისყრა. აი მისი შედეგები:

კალათბურთი. **ვაჟთა გუნდები.** „ა“ ჯგუფი — უზბეკეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, საქართველო. „ბ“ ჯგუფი — ყირგიზეთი, ლატვია, თურქმენეთი, ლენინგრადი. „გ“ ჯგუფი — რსფსრ, სომხეთი, მოსკოვი, ესტონეთი. „დ“ ჯგუფი — ტაჯიკეთი, ლიტვა, ბელორუსია, ყაზახეთი, მოლდავეთი.

ქალთა გუნდები. „ა“ ჯგუფი— სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, რსფსრ. „ბ“ ჯგუფი — ესტონეთი, ლატვია, საქართველო, ლიტვა, „გ“ ჯგუფი — მოლდავეთი, უზბეკეთი, მოსკოვი, ბელორუსია. „დ“ ჯგუფი — აზერბაიჯანი, ლენინგრადი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, უკრაინა.

წყალბურთი. „ა“ ჯგუფი — საქართველო, მოლდავეთი, ბელორუსია, ლიტვა. „ბ“ ჯგუფი — ლენინგრადი, რსფსრ, ტაჯიკეთი, უკრაინა. „გ“ ჯგუფი — მოსკოვი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, სომხეთი. „დ“ ჯგუფი — უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი.

ფრენბურთი. **ვაჟთა გუნდები.** „ა“ ჯგუფი — რსფსრ, ბელორუსია, საქართველო, მოსკოვი. „ბ“ ჯგუფი — უკრაინა, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთი. „გ“ ჯგუფი — ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ლენინგრადი. „დ“ ჯგუფი — ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, სომხეთი, ტაჯიკეთი.

ქალთა გუნდები. „ა“ ჯგუფი— მოლდავეთი, რსფსრ, საქართველო, ლენინგრადი. „ბ“ ჯგუფი — ესტონეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ტაჯიკეთი. „გ“ ჯგუფი — ყირგიზეთი, ლატვია, ბელორუსია, ლიტვა. „დ“ ჯგუფი — სომხეთი, ყაზახეთი, მოსკოვი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი.

ხელბურთი. **ვაჟთა გუნდები.** „ა“ ჯგუფი — ესტონეთი, საქართველო, ტაჯიკეთი, ბელორუსია. „ბ“ ჯგუფი — ყაზახეთი, სომხეთი, ლიტვა, უკრაინა. „გ“ ჯგუფი— მოსკოვი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, ლენინგრადი. „დ“ ჯგუფი— ლატვია, უზბეკეთი, რსფსრ, ყირგიზეთი, თურქმენეთი.

ქალთა გუნდები. „ა“ ჯგუფი— ყაზახეთი, უკრაინა, თურქმენეთი, ლიტვა. „ბ“ ჯგუფი — უზბეკეთი, საქართველო, რსფსრ, ლატვია. „გ“ ჯგუფი — მოსკოვი, სომხეთი, ბელორუსია, მოლდავეთი. „დ“ ჯგუფი — აზერბაიჯანი, ესტონეთი, ლენინგრადი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი.

ჩოგბურთი. „ა“ ჯგუფი — სომხეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, საქართველო. „ბ“ ჯგუფი — რსფსრ, ტაჯიკეთი, ესტონეთი, ყაზახეთი. „გ“ ჯგუფი —ლენინგრადი, მოლდავეთი, ლატვია, ბელორუსია. „დ“ ჯგუფი — მოსკოვი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ლიტვა, თურქმენეთი.

მაგიდის ჩოგბურთი. **ვაჟთა გუნდები.** „ა“ ჯგუფი — ბელორუსია, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა. „ბ“ ჯგუფი — მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი. „გ“ ჯგუფი — ყაზახეთი, თურქმენეთი, მოსკოვი, ლიტვა. „დ“ ჯგუფი — რსფსრ, ლენინგრადი, ესტონეთი, ლატვია, ყირგიზეთი.

ქალთა გუნდები. „ა“ ჯგუფი — ლენინგრადი, უზბეკეთი, მოლდავეთი, სომხეთი. „ბ“ ჯგუფი — ბელორუსია, თურქმენეთი, მოსკოვი, აზერბაიჯანი. „გ“ ჯგუფი — რსფსრ, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია. „დ“ ჯგუფი—ყაზახეთი, ტაჯიკეთი, საქართველო, ყირგიზეთი, უკრაინა.

ბალახის ჰოკეი. **ვაჟთა გუნდები.** „ა“ ჯგუფი — ყაზახეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, უკრაინა, სომხეთი. „ბ“ ჯგუფი —საქართველო, მოსკოვი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ლენინგრადი, რსფსრ.

ქალთა გუნდები. „ა“ ჯგუფი — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, უზბეკეთი, რსფსრ, ტაჯიკეთი. „ბ“ ჯგუფი — უკრაინა, ლენინგრადი, მოსკოვი, ბელორუსია, ლიტვა, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

ლევან მარუაშვილს 70 წელი შეუსრულდა

მეცნიერი, მთამსვლელი...

— **მთამსვლელობამ** მეცნიერებას მრავალი ისეთი თვალსაჩინო მკვლევარი შესძინა, რომლებმაც ცოდნის გამდიდრება მთებში დაიწყეს. შემდგომში ამ ლაშქრობებში შეძენილი ჩვევები, ხალისი, ნებისყოფა, ბუნების მოვლენათა გაგების უნარი და მხატვრული გემოვნება ბოლომდე გაჰყოლიეს როგორც სამეცნიერო ნაშრომის წამყვანი ძალა.

ქართველ მთამსვლელებს სამეცნიერო ფრონტზე კვლევის მყარი ტრადიციები აქვთ. ეს კი თითქმის ყოველ ალპინისტს ზნეობრივ ვალად აკისრებს თავისი წვლილი შეიტანოს კავკასიონის შესწავლაში.

ჩვენი მთამსვლელები სამშობლოს წინაშე ვალდებული არიან სპორტულ ასვლებთან ერთად განახორციელონ ჩვენი მთიანეთის შესწავლის ზოგიერთი ამოცანა, — უთქვამს ცნობილ ქართველ გეოგრაფს, ნ. მ. პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლისა და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიების ლაურეატს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლევან მარუაშვილს.

ლევან მარუაშვილის სახელთან მთამსვლელობის, ტურიზმისა და სპელეოლოგიის ისტორიის მრავალი საინტერესო ფურცელია დაკავშირებული. მისი, როგორც მოგზაურის, მეცნიერისა და მთამსვლელის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის ლევანის მამას, დიდად განათლებულ და შესანიშნავ ტოპოგრაფს, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის აქტიურ წევრს იოსებ მარუაშვილს. რამდენიმე წლის წინათ გაგრის ალპური გზის მშენებლობის დროს იპოვეს ფილა, რომელზეც ეწერა, რომ იოსებ მარუაშვილი იყო „მამზიშხას“ მთაზე. მამასთან ერთად განხორციელებული საინტერესო მოგზაურობების შემდეგ, 1928 წელს ლევან მარუაშვილი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნული განყოფილების მუშაობაში ჩაება.

მომდევნო წელს იგი დავით ფურცელაძესთან და შალვა კახეთელიძესთან ერთად ტურისტულ ლაშქრობას აწყობს თრიალეთის ქედზე თბილისიდან ბორჯომამდე. იმავე წელს ლევან მარუაშვილმა მთამსვლური ნათლობა მიიღო მწვერვალ ბრუტსაბძელაზე (3670 მ). მწვერვალზე მან პირველმა ნახა საკულტო დანიშნულების ას ნაგებობის ნაშთები.

ამის შემდეგ მარუაშვილმა დალაშქრა თეთნულდი, ახალი გზით ავიდა ბანგურიანზე. ორჯონიკიძელ მთამსვლელებთან ი. ანტონოვიჩთან და ა. ზოლოტარიოვთან ერთად აითვისა ასევე ახალი მარშრუტი მყინვარწვერზე — „იაგორას ნიშიდან“ პირდაპირ უნაგირაზე ასვლით და ტრავერსით.

ლევან მარუაშვილი პირველი ქართველია, რომელიც 1932 წელს საკავშირო ტაჯიკეთის კომპლექსურ ექსპედიციაში მონაწილეობდა. ამ მოგზაურობის შესახებ მან დაბეჭდა წიგნი „დასავლეთ პამირის მთებში“.

1934 წელს უშბაზე ამსვლელთა ჯგუფში ლევან მარუაშვილიც შეიყვანეს, მაგრამ ავადმყოფობის



გამო 4100 მეტრის სიმაღლეზე, უშბის სამხრეთ-დასავლურ შვერილზე დარჩა, სადაც როგორც მეთვალყურემ შვიდი დღე და ღამე გაატარა. და თუ უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლა გამარჯვებით დამთავრდა, ამაში ლ. მარუაშვილსაც დიდი წვლილი მიუძღვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიონის იმ გეოდეზიურ ექსპედიციას, რომელიც 1935 წელს მოეწყო. ამ ექსპედიციას უნდა გადაეწყვიტა ის პრობლემა, რომელიც კარტოგრაფებს მრავალი წლის მანძილზე აწუხებდათ—გამოცდილი მთამსვლელების დახმარებით ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ტრიანგულიაციის სისტემათა ურთიერთდაკავშირება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სხვა მთამსვლელებთან ერთად ლევან მარუაშვილიც მიიწვიეს. იალბუზის წვერზე სატრიანგულიაციო კოშკურის დადგმა ძნელი იყო და სახიფათო. მარუაშვილი იხსენებს: „საშინელი ყინვა, უჟანგბადობა, გაუთავებელი ალმართი მოითხოვდა ორგანიზმის უკიდურეს დაძაბვას, ნებისყოფის მობილიზაციას, ზოგიერთი მონაწილე ამჟღავნებდა მთის სენის ნიშნებს...“

1937 წელს ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით ჯგუფს დაევალა პირიქითა თუშეთის ქედის მწვერვალებზე ასვლა და რელიეფზე დაკვირვება. ჯგუფმა წარმატებით შეასრულა დასახული მიზანი.

მარუაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მთამსვლელთა შორის ამჟამად ძალზე პოპულარული ჭაუხის კლდოვანი მასივის შესწავლაში. იგი დღესაც არ წყვეტს კავშირს ალპინიზმთან— არის საქართველოს ალპური კლუბის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ლევან მარუაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპელეოსპორტისა და საერთოდ სპელეოლოგიის დანერგვა-განვითარების საქმეში. მისი თაოსნობით საქართველოს ალპურ კლუბთან ჩამოყალიბდა სპელეოლოგიური კომისია, სადაც სხვადასხვა დარგის მეცნიერები მიიწვიეს და მთამსვლელებთან ერთად გამოიკვლიეს ძნელად შესაღწევი ქვაბულები, უკანასკნელ წლებში კი მარუაშვილი იკვლევს ცუცხვათის უნიკალურ მრავალსართულიან მღვიმეებს, რომელსაც კაპიტალური მეცნიერული ნაშრომიც უძღვნა.

დიდი სამამულო ომის წლებში ლ. მარუაშვილი სხვა მთამსვლელებთან ერთად ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის დავალებით დიდ და საპასუხისმგებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.

ყოველი ლაშქრობის შემდეგ ლ. მარუაშვილი წერს სტატიებს, ნარკვევებსა და წიგნებს. მის კალამს ეკუთვნის წიგნი „თუშეთის ბილიკებით“, „ათი წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ“, „თუშეთი“ და სხვა. მარუაშვილი თავისი წიგნებით, ლექციებითა და საუბრებით სტუდენტებს უღვიძებს ინტერესს ალპინიზმისა და გეოგრაფიისადმი, აყვარებს სამშობლოს.

დღეს მადლიერი სტუდენტები ლევან მარუაშვილს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის თავს ულოცავენ.

დ. გოზალიშვილი.

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა შინ მიიღეს ოდესის „ჩერნომორეცი". თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0.

• • •

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და დონეცკის „შახტიორი". ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ტორპედოელებმა.

• • •

სსრ კავშირის 1982 წლის ჩემპიონის გამოსავლენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მინსკის დინამოელთა მატჩს მოსკოვში „სპარტაკთან", აგრეთვე, ერევნის „არარატისა" და კიევის „დინამოს" შეხვედრას.

კიეველებმა ერევანში დაამარცხეს „არარატის" ფეხბურთელები — 3:2, ხოლო მინსკის „დინამომ" მოსკოვში მოუგო „სპარტაკს" — 4:3.

ამრიგად, მინსკის „დინამოს" კოლექტივმა პირველად ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

ვულოცავთ ბელორუსიის დედაქალაქის დინამოელებს ამ დიდ წარმატებას!

ტურის სხვა შედეგები ასეთია:

„ნეფთჩი" — „ქუბანი" 2:3

„ფახთაქორი" — ცსკა 2:1

„ქაირათი" „ტორპედო" მ. 1:1

„დინამო" მ. — „ზენიტი" 2:0

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა კალენდარული ტურის ტექნიკური მონაცემები:

„დინამო" მ. — „დინამო" მნ. 0:7 (0:3). მინსკის დინამოელებმა ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვეს წლევანდელ ჩემპიონატში. ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა ვასილევსკიმ (1— პენალტით), ხოლო სოკოლმა, გოცმანოვმა, ალეინიკოვმა და გურინოვიჩმა (პენალტით) — თითო. მატჩი გაიმართა დახურულ დარბაზში.

დუბლიორები — 0:1.

„ფახთაქორი" — „ტორპედო" მ. 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს ტაშკენტელმა ქურაევლიოვმა და ტორპედოელმა რედკოუსმა.

დუბლიორებს არ უთამაშიათ.

„ქაირათი" — ცსკა 1:0 (0:0). გადამწყვეტი გოლი 63-ე წუთზე გაიტანა სტუკაშოვმა.

დუბლიორები — 3:1.

„სპარტაკი" — „ზენიტი" 1:1 (1:1). ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა სპარტაკელმა შავლომ, საპასუხო ბურთი გაიტანა ჩუხლოვმა.

დუბლიორები — 4:2.

„არარატი" — „ჩერნომორეცი" 6:1 (2:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პ. გალუსტიანმა — 2, მელიქიანმა, ოჰანესიანმა, პეტროსიანმა და კირაკოსიანმა. „ჩერნომორეცის" მხრივ უპასუხა პოკონინმა.

გააფრთხილეს ოდესელი ფეხბურთელები გორიაჩევი და ლუშჩუკი.

დუბლიორებს არ უთამაშიათ.

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 2:2 (0:0). გოლები: შიხლაროვი, ახმედოვი („ნეფთჩი"), სოკოლოვსკი (პენალტი), ვარნავსკი („შახტიორი").

გააფრთხილეს ბაქოელი აბდულაევი.

დუბლიორები — 2:1.

„ვალენსია", მილიან მილიანიჩი, მარიო კემპესი...

გაიცანით მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქე

ესპანეთის ერთ-ერთ პოპულარულ საფეხბურთო კლუბს „ვალენსიას" დიდი მიღწევები აქვს საერთაშორისო ასპარეზზე. 1962 და 1963 წლებში მან ზედიზედ ორჯერ მოიპოვა უეფა-ს თასი (მაშინ ამ შეჯიბრებას ბაზრობათა თასი ერქვა), 1980 წელს კი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ასეთი მიღწევები ესპანეთის გუნდებიდან მხოლოდ მადრიდის „რეალსა" და „ბარსელონას" თუ აქვთ. გარდა ამისა, „ვალენსია" ოთხჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, ხუთჯერ მოიგო ეროვნული თასი. აქ 40-იან წლებში გამოდიოდა ცნობილი ბასკი ფეხბურთელი გოროსტიცა, რომელმაც 1937 წელს თბილისშიც ითამაშა.

ბოლო წლებში „ვალენსიას" დიდი ამაგი დასდო განთქმულმა სპეციალისტმა ალფრედო დი სტეფანომ, რომლის სახელთანაც ამ კლუბის დიდი წარმატებებია დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც დი სტეფანო ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში" გადავიდა (ახლა იგი ისევ ესპანეთშია და მადრიდის „რეალს" ხელმძღვანელობს), „ვალენსიას" გაუჭირდა. მწვრთნელთან ერთად არგენტინაში დაბრუნდა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის № 1 ფეხბურთელი მ. კემპესიც, რომელიც 1976 წლიდან „ვალენსიაში" თამაშობდა. ესპანეთის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „ვალენსიის" ხელმძღვანელობა ეცადა და ისევ დაიბრუნა კემპესი.

წლეულს „ვალენსიას" საქმეები ვერაა კარგად. ესპანეთის ჩემპიონატში მას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს, თუმცა კარგი შედეგები აქვს უეფა-ს თასზე. აქ ესპანელებმა თანმიმდევრულად სძლიეს განთქმულ ინგლისურ კლუბს „მანჩესტერ იუნაიტედსა" და ჩეხოსლოვაკიის „ბანიკს" (ოსტრავა).

გუნდის დირექტორატმა სულ ორიოდე კვირის წინ მწვრთნელად მიიწვია ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი მილიან მილიანიჩი, რომელიც რამდენიმე წლის წინ მადრიდის „რეალს" ედგა სათავეში და, ამდენად, ჩინებულად იცნობს ესპანურ ფეხბურთს.

რა შეიძლება ითქვას „ვალენსიის" ახლანდელ შემადგენლობაზე? მილიანიჩის პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ მან არასტაბილურად მოთამაშე მეკარე სემპერე შეცვალა ახალგაზრდა ბერმელით, რომელიც საუკეთესოდ მოქმედებდა საპასუხო მატჩში „ბანიკთან" (0:0). ამავე მატჩში დაცვაში თამაშობდნენ კასტელანოსი, რიბასი, არიასი და ტენდილო. თბილისში მილიანიჩი ვერ გამოიყვანს არიასს, რომელსაც მინდორი დაატოვებინეს ოსტრავაში. მცველთა შორის ყველაზე უფრო ცნობილია ესპანეთის ნაკრების მოთამაშე ტენდილო. შუა ხაზი (სოლსონა, საურა, ცეზარი) „ვალენსიაში" ტრადიციულად ძლიერია. სოლსონა და საურა ესპანეთის ნაკრების წევრები არიან.

თავდასხმაში წამყვან როლს უცხოელები თამაშობენ. „ვალენსიას" 3 უცხოელი ჰყავს. შესანიშნავი სნაიპერი დანიელი არნასონი ბოლო მატჩებში ტრავმის გამო არ თამაშობდა. ასევე საუკეთესო სნაიპერული ღირსებები აქვს ავსტრიელ ველცლს.

მარიო კემპესზე, ცხადია, ღირს რამდენიმე სიტყვის თქმა: იგი დაიბადა 1954 წელს. 17 წლისა ჩაირიცხა „როზარიო სენტრალში", 20 წლისა უკვე არგენტინის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა. 1976 წელს გადავიდა „ვალენსიაში". დიდი პოპულარობა მოიპოვა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და № 1 სნაიპერიც გახდა. შემდეგ მან ერთხანს დატოვა „ვალენსია" და ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტში" გამოდიოდა, მაგრამ დაუბრუნდა ესპანეთს და ახლა, ისევე როგორც ადრე, „ვალენსიას" წამყვანი ფეხბურთელია.

გ. გამრეკელი.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ისპარეზებენ I ლიგაში

16 ნოემბერს გაიმართა II ლიგის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირების მორიგი შეხვედრები.

ივანოვოს „ტექსტილშჩიკმა" ანგარიშით 2:1 დაამარცხა აბოვიანის „კოტაიკი", მოგილიოვის „დნეპრმა" — ჩერნოვცის „ბუკოვინა" — 2:1, ხოლო ჩელიაბინსკის „ლოკომოტივმა" შინ წააგო კემეროვოს „კუზბასთან" — 0:1.

სათამაშოა ბოლო ტურის შეხვედრები. უკვე გამოვლინდა 2 გუნდი, რომლებიც გაისად გამოვლენ საბჭოთა კავშირის პირველობაზე I ლიგის გუნდებს შორის. ესენია მოგილიოვის „დნეპრი" და კემეროვოს „კუზბასი".

მეშვიდე საერთაშორისო

ბათუმში ერთ კვირას გაგრძელდა საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა. გათამაშებაში მონაწილეობდნენ ბლაგოევგრადის „პირინი" (ბულგარეთი), მოსკოვის „სმენა", ერევნის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, საქართველოს ნაკრები, ბათუმის „დინამოს" 2 გუნდი და განათლების განყოფილების ნაკრები.

შეჯიბრების სტარტიდანვე საუკეთესოდ ითამაშეს მოსკოვისა და ერევნის ფეხბურთელებმა, რომლებიც გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. მოსკოველებს მატჩის ფრედ დამთავრებაც აძლევდა ხელს, ხოლო ერევნელებს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა ფრედ—2:2, მოსკოვის „სმენამ" 8 ქულით 10 შესაძლებლიდან პირველი ადგილი დაიკავა და მოიპოვა გმირის სახელობის პრიზი. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ერევნის სპორტსკოლა და ბლაგოევგრადის „პირინი".

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები მიეკუთვნათ მეკარე ა. კონონოვს (მოსკოვი), მცველ რ. პაშკოვს („პირინი"), ნახევარმცველ გ. სტეფანიანს (ერევანი), თავდამსხმელ გ. მაისაიას („დინამო", ბათუმი), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელია დ. გუნძეხაძე (საქართველოს ნაკრები), ბომბარდირი — პ. მიკტარსკი („პირინი").

ო. მურვანიძე.
(ჩვენი საკ. კორ.).

ევროპის ჩემპიონატი

გრძელდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში.

I ჯგუფი

ბერნში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები. სულზერმა და ეგლიმ 2 „მშრალი" ბურთი გაიტანეს შოტლანდიელთა კარში — 2:0.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	1	1	0	0	3—0	2
შოტლანდია	2	1	0	1	2—2	2
შვეიცარია	2	1	0	1	2—3	2
გდრ	1	0	0	1	0—2	0

III ჯგუფი

სალონიკში ინგლისელმა ფეხბურთელებმა იოლად დაამარცხეს საბერძნეთის ნაკრები — 3:0. ბურთები გაიტანეს ვუდკოკმა (2) და ლიმ.

ინგლისი	2	1	1	0	5—2	3
დანია	2	1	1	0	4—3	3
საბერძნეთი	2	1	0	1	2—3	2
ლუქსემბურგი	2	0	0	2	1—4	0

IV ჯგუფი

ბულგარელმა ფეხბურთელებმა სოფიაში ანგარიშით 0:1 განიცადეს მარცხი იუგოსლავიის ნაკრებთან შეხვედრაში. ბურთი 36-ე წუთზე გაიტანა სტოიკოვიჩმა.

ნორვეგია	3	1	1	1	5—4	3
უელსი	1	1	0	0	1—0	2
იუგოსლავია	2	1	0	1	2—3	2
ბულგარეთი	2	0	1	1	2—3	1

VI ჯგუფი

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა ბელფასტში მიიღო ევროპის ჩემპიონი და განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, გადამწყვეტი ბურთი გფრ-ის ნაკრების კარში გაიტანა სტიუარტმა.

ამავე ჯგუფში ავსტრიელებმა ვენაში დიდი ანგარიშით დაამარცხეს თურქეთის ნაკრები — 4:0. ბურთები გაიტანეს პოლსტერმა, პეცაიმ, პროხასკამ (პენალტით) და შახნერმა.

ავსტრია	3	3	0	0	11—0	6
თურქეთი	2	1	0	1	1—4	2
ჩრ. ირლანდია	2	1	0	1	1—2	2
გფრ	1	0	0	1	0—1	0
ალბანეთი	2	0	0	2	0—6	0

VII ჯგუფი

ირლანდიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3. ირლანდიელთაგან ბურთები გაიტანეს გრიმსმა და სტეპლტონმა (2), ხოლო ესპანელთაგან — მასედამ და ვიქტორმა. ერთი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა მარტინმა.

ირლანდია	3	1	1	1	6—5	3
ესპანეთი	2	1	1	0	4—3	3
ჰოლანდია	2	1	1	0	3—2	3
მალტა	1	1	0	0	2—1	2
ისლანდია	4	0	1	3	2—6	1

უცხოეთის ფეხბურთის ამბები.

კიგანს ჩენონიც მიჰყვა

მას შემდეგ, რაც სახელგანთქმული კიგანი გადაიბირა, ინგლისის მეორე ლიგის საფეხბურთო კლუბი „ნიუკასლ იუნაიტედი" კიდევ ერთ ცნობილ ოსტატს მოელაპარაკა: „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდა ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჩენონიც, რომელიც კიგანთან ერთად უწინ „საუთჰემპტონში" თამაშობდა.

„კოსმოსი" კვლავ ჩემპიონია

ნიუ-იორკის „კოსმოსის" ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს აშშ-ის ჩემპიონის წოდება. გადამწყვეტ მატჩში, რომელიც ქ. სან-დიეგოს (კალიფორნია) სტადიონზე გაიმართა, მათ ანგარიშით 1:0 მოუგეს „სიეტლ სოუნდერსს". ეს ერთადერთი ბურთი 23-ე წუთზე გაიტანა „კოსმოსის" ვეტერანმა, იტალიის ნაკრების ყოფილმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კინალიამ.

მატჩს 23 ათასი მაყურებელი დაესწრო. „კოსმოსი" მეხუთედ გახდა აშშ-ის ჩემპიონი, ამასთან მეოთხედ — ბოლო 6 წლის განმავლობაში.

ექიმს ადანაშაულებს

გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა რუმენიგემ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში უფერულად ითამაშა და ამაში დაადანაშაულა... გუნდის მთავარი ექიმი ჰესი. რუმენიგემ განაცხადა, რომ ჰესმა ვერაფერი გაუგო ტრავმას, რომელიც ფეხბურთელმა ალჟირელებთან პირველივე მატჩში მიიღო. ჰესს ეგონა, რომ ეს ბარძაყის ძვლის დაშავება იყო, სინამდვილეში კი რუმენიგეს ძარღვი გაუწყდა.

— ასეთ შეცდომებს, — განაცხადა რუმენიგემ, — ჩვენთვის, პროფესიონალი ფეხბურთელებისთვის, სავალალო შედეგები მოაქვს ხოლმე.

კუბალა — „სპორტინგის" მწვრთნელი

ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი ლ. კუბალა, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ესპანეთის ნაკრებს, ლისაბონის „სპორტინგის" მწვრთნელი გახდა.

წერილი რედაქციას

●

უქმად დაკარგული დრო...

18 ნოემბერს უნდა გამართულიყო თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამოს" სტადიონის დირექციამ ადრევე გამოაცხადა გაზეთებში, რომ თამაში 15 საათზე გაიმართებოდა გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

18 ნოემბერს თამაშის დაწყებამდე საათით ადრე საავიაციო ქარხნის სტადიონზე იწყეს მოსვლა ფეხბურთის მოყვარულებმა, შეიძინეს შესასვლელი ბილეთები და მოკალათდნენ ტრიბუნებზე.

შესრულდა 14 საათი და 30 წუთი, სტადიონზე კი არ ჩანდნენ არც „დინამოს", არც „ჩერნომორეცის" ფეხბურთელები, გავიდა ნახევარი საათიც, მაგრამ თამაშის დაწყებისა ნიშან-წყალიც არ ჩანდა.

როცა მოთმინების ფიალა აივსო, მივმართეთ სტადიონის დირექციას, რომელმაც გაგვიმარტა, რომ მას ევალებოდა ბაზისა და მინდვრის მომზადება თამაშის ჩასატარებლად, ყველაფერი ეს დროულად იყო მზად, ხოლო იმის თაობაზე, რომ თამაში არ შედგებოდა, არავითარი ცნობა არ მიუღია და ახლაც არაფერი იცის რატომ არ გამოცხადდნენ გუნდები.

შეიძლება, გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონის დირექცია მართლაც არაა დამნაშავე იმაში, რომ მატჩი ჩაიშალა, ვინაიდან მას ევალებოდა მხოლოდ ბაზის მომზადება თამაშისთვის, მაგრამ რა პასუხს მოგვცემს ის, ვისაც ნამდვილად ევალებოდა თბილისის „დინამოსა" და „ჩერნომორეცის" მატჩის ორგანიზება და ვინც თავი არ შეიწუხა დროულად შეეტყობინებინა დირექციისა და მაყურებლებისათვის, რომ თამაში არ შედგება?

დ. მაჭავარიანი, ა. ლორია, ნ. ნერსესოვი და სხვანი.

●

რედაქციისაგან: **მკითხველთა ეს წერილი გავაცანით თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობას, რომელმაც გვთხოვა გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვუხადოთ მაყურებლებს მომხდარი შემთხვევის გამო.**

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

● ჩემპიონატები ● ტურნირები ● ჩემპიონატები ● ტურნირები

სტარტი მიეცა

დელი. გუშინ აქ საზეიმოდ გაიხსნა აზიის ქვეყნების IX სპორტული თამაშები. ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდით წარსდგნენ თამაშების ორგანიზატორები, პროგრამის ყველა სახეობაში იასპარეზებენ ბანგკოკის VIII თამაშების გამარჯვებული იაპონიის სპორტსმენები, ძალზე ძლიერი გუნდი ჩამოიყვანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. კარგად მომზადებული ათლეტები არიან მონღოლეთის, ვიეტნამის, სირიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ კორეის, ინდონეზიის, პაკისტანის გუნდებში. დიდ ინტერესს იწვევს ავღანეთის, ლაოსის, ერაყის, ირანის, კუვეიტის, საუდის არაბეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლები.

ყველა გაზეთი აღნიშნავს დელიში ლიბანის დელეგაციის ჩამოსვლას. იგი სულ 10 სპორტსმენისგან შედგება, მაგრამ ყველა მიესალმება ისრაელის ბარბაროსული აგრესიის ქვეშ მყოფი ლიბანის ნაკრების თამაშებში მონაწილეობის ფაქტს.

თამაშები ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ ვითარდება სპორტი კონტინენტზე. პირველ თამაშებში 24 ქალი მონაწილეობდა. IX თამაშებში კი 620 სპორტსმენი ქალი იასპარეზებს.

ინდოეთში დიდად აფასებენ იმ დახმარებას, რაც საბჭოთა მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა ინდოელ სპორტსმენებს კონტინენტის სპორტული ფორუმისთვის მზადების საქმეში აღმოუჩინეს. ცნობილი სპორტული მიმომხილველი პ. პ. რ. მენონი წერს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ იყო ინდოეთის ჭეშმარიტი მეგობარი. „ასიად-82“-ისთვის მზადების დღეებში, — წერს იგი, — საბჭოთა მეგობრებმა ინდოეთის სპორტსმენებს საბჭოთა გუნდებთან პაექრობაში საკუთარი ძალის გამოცდის საშუალება მისცეს. აზიური თამაშების დაწყებამდე აქ მატჩები ჰქონდათ საბჭოთა ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა და ბალახის ჰოკეის ქალთა გუნდებს“.

ინდოეთის გაზეთები ამ დღეებში წერენ მოსკოვის ოლიმპიადის შესახებ. დელის კინოთეატრებში აჩვენებენ კინოფილმს — „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!“, კინოთეატრის აფიშებზე, გაზეთების ფურცლებზე „ასიად-82“-ის თილისმის პატარა სპილო „აპუს“ გვერდით გამოსახულია ოლიმპიური „მიშკა“.

● ●

პირველი ლიდერები

დასასრული

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა პირველთანრიგოსანთა შორისაც. აქ ალმაათელი დინამოელი იგორ გოლევი დაწინაურდა — 56,40. ჩვენი პაატა ჩხიკვაძე („ზენიტი“) და რამილ აფზალოვი („ლოკომოტივი“) 56,25 ქულით მეორე-მესამე ადგილს იყოფენ. 14 წლის ზენიტელი კობა ჩოხელი, რომელიც პირად პირველობაში ასპარეზობს, მეშვიდე ადგილზეა — 55,25.

გუშინ ასპარეზობაში ჩაებნენ გოგონები, რომლებსაც სავალდებულო პროგრამა ჰქონდათ შესრულებული. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა შეიარაღებული ძალების კოლექტივი (158,67 ქულა). ხოლო პირადში სპორტის ოსტატებს შორის ა. შჩენიკოვა („ზენიტი“) — 37,0. ოსტატობის კანდიდატებში წინაა არმიელი ო. ბოლბირევა — 37,40, ხოლო პირველთანრიგოსნებში — ნ. ანდრეევა („ტრუდი-II“) — 36,85.

დღეს სპორტის სასახლეში კვლავ გამოვლენ ჭაბუკი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც ამჯერად ნებისმიერ პროგრამას შესრულებენ.

ჯ. კვანტალიანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
ო. ოთარაშვილი,

თბილისის ტურნირზე ჩამოვიდა ბევრი სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშე. მათ შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონები. ჩვენი კორესპონდენტი **ლ. ხეცურიანი** ესაუბრა ორ მათგანს — ოლიმპიურ ჩემპიონებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ლარისა ლატინინასა და ნიკოლოზ ანდრიანოვს. აი, რა თქვეს მათ.

ლ. ლატინინა (მოსკოვის ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი):

— დღევანდელი შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებისათვის თავისებური ანგარიშია იმ მუშაობისა, რომელსაც მწვრთნელები ატარებენ მიმდინარე სეზონში, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე გამოდიან ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც ამით ფაქტიურად ტანვარჯიშულ შეჯიბრებათა წლევანდელ სეზონს ამთავრებენ. ტურნირის მონაწილეთაგან განსაკუთრებით გამოვყოფ ნიჭიერ სპორტსმენებს, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრებს — მოსკოველ ნატაშა ტიმაკოვას, ჩემს თანამემამულეს ხერსონიდან ნატალია სტუდენიკინას, მოსკოველ ეკატერინა ზახაროვას, მათ კარგად დაიწყეს ასპარეზობა. იმედია, რომ თავს არც თქვენი გოგონები შეირცხვენენ და შემდგომში კარგი ოსტატები დადგებიან. ამის საწინდარია თუნდაც ახალი შესანიშნავი სპორტული დარბაზი სანაპიროზე, რომელიც სულ მალე საზეიმოდ გაუხსნის კარს საქართველოს ტანმოვარჯიშეებს.

ნ. ანდრიანოვი (ქვეყნის ახალგაზრდული გუნდის უფროსი მწვრთნელი):

—თბილისურმა თბილმა ამინდმა და სპორტის სასახლის საზეიმო ელფერმა განსაკუთრებული იერი მისცა ნორჩების შეჯიბრებას. ეჭვი არ მეპარება, რომ ასპარეზობის ხუთივე დღე მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩაივლის. თქვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან პირველ დღეს განსაკუთრებით მომეწონა 15 წლის პირველთანრიგოსანი პაატა ჩხიკვაძე. მოხარული ვიქნებით, თუ იგი შესანიშნავი ქართველი ტანმოვარჯიშის პაატა შამუგიას ღირსეული მემკვიდრე გახდება, პერსპექტიული სპორტსმენია, აგრეთვე, 14 წლის კობა ჩოხელიც. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოვყოფ საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბაში“ გამარჯვებულს — აბსოლუტურ ჩემპიონს, უკრაინელ სპორტის ოსტატ სტანისლავ სიტნიკს, მოსკოველ სპორტის ოსტატ მიხეილ კოკურინს, ოსტატობის კანდიდატს ვალენტინ მოგილნის ლენინსკ-კუზნეცკიდან, 13 წლის ალმაათელ პირველთანრიგოსანს იგორ გოლევს.

• • •

სურათებზე: ასპარეზობის მომენტები.

ვ. მაჩაბლის ფოტოები.



დიდი უპირატესობით

მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში სამ დღეს გრძელდებოდა სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ მონათესავე სპორტსაზოგადოებების XI სპარტაკიადა ძიუდოში. დინამოელთა ამ შეჯიბრებაში, რომელსაც 1964 წელს ჩაეყარა საფუძველი, წარმატებით გამოდიოდნენ ქართველი ძიუდოისტები. მაგალითად, ა. კიკნაძე ცხრაჯერ იყო ჩემპიონი, ა. მარტყოფლიშვილი — ექვსჯერ. ჩვენმა ფალავნებმა ამჯერადაც ისახელეს თავი და შინ 4 ოქროს მედალი ჩამოიტანეს.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ნაკრების მწვრთნელს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ა. მარტყოფლიშვილს** და სთხოვა მოეთხრო ულანბატორში გამართული ასპარეზობის შესახებ:

— ეს შეჯიბრება პირველი კატეგორიის ასპარეზობად ითვლება. ბოლო წლებში სპარტაკიადაში ახალგაზრდა ძიუდოისტებიც ჩართეს, საბოლოო ადგილს კი ახალგაზრდებისა და მოზრდილთა შედეგების ჯამი განსაზღვრავს, ამასთან, მოზრდილთა შორის გამარჯვებულს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება.

შეჯიბრებაში 9 ქვეყნის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ. პირველ დღეს ძალებს ცდიდნენ ახალგაზრდული გუნდები. საბჭოთა ძიუდოისტებმა ტოლი არავის დაუდეს — 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სასიხარულოა, რომ სამივე ჩემპიონი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია: ბორის ფირცხელანი (86 კგ), ალექსანდრე ხაჩიძე (95) და აკაკი კიბორძალიძე (მძიმე წონა).

შემდეგ სარბიელი მოზრდილებს დაეთმოთ. ჩვენს გუნდში მხოლოდ ერთი ქართველი მოჭიდავე — თამაზ ნამგალაური (71 კგ) გამოდიოდა. მან ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა. საერთოდ, საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა ამ ასაკობრივ ჯგუფშიც აშკარა იყო. მათ ანგარიშზეა 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. ნამგალაურთან ერთად ჩემპიონები გახდნენ რიაზანელი ვიტალი დევისენკო (95), კუიბიშეველი ხოზრატ ბეკტაშევი (მძიმე წონა) და ერევნელი არტურ არუთუნიანი (აბსოლუტური კატეგორია).

გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, შემდეგ მოდიან გდრ-ისა და პოლონეთის კოლექტივები. მასპინძლებმა შეჯიბრების დამთავრებისთანავე ძიუდოისტებს სპეციალური პრიზები გადასცეს. აღსანიშნავია, რომ პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის დაიმსახურა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ალექსანდრე ხაჩიძემ.

● ●

ძნელი მატჩი რიჩმონდში

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდისთვის წლევანდელი ამერიკული ტურნეს მატჩებიდან ყველაზე ძნელი გამოდგა შეხვედრა რიჩმონდში (ვირჯინიის შტატი), სადაც მასპინძლებმა მხოლოდ მეორე, დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმის ბოლოს შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 94:87. ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 84:84.

ტენესის შტატიდან რიჩმონდამდე ჩასვლას 9 საათი დასჭირდა. საბჭოთა კალათბურთელები დაიღალნენ. მათ თითქმის არ დაუსვენიათ ისე გავიდნენ მოედანზე და ცხადია, სუსტად ითამაშეს პირველ წუთებში — ვირჯინიელებს 15 ქულით დაწინაურების საშუალება მისცეს. მასპინძელთა შორის, როგორც სიმაღლით, ასევე თამაშით გამოირჩეოდა გუნდის ლიდერი სამპსონი, რომელსაც ამერიკული კალათბურთის „ამომავალ ვარსკვლავად“ თვლიან. თუმცა პირველი ტაიმის ბოლოსთვის ჩვენმა ტანმაღალმა ცენტრალურმა თავდამსხმელებმა საბონისმა (212) და ბელოსტენიმ (215) შეძლეს ამერიკელთა ლიდერის უვნებელყოფა (საბოლოო ჯამში სამპსონმა მხოლოდ 13 ქულა შესძინა გუნდს) და საბჭოთა გუნდმაც შეძლო თამაშის გათანაბრება.

საბოლოო შედეგზე მაინც ამერიკელი არბიტრების არაობიექტურმა მსაჯობამ იქონია გავლენა. ისინი ხშირად „ამჩნევდნენ“ ჩვენი მოთამაშეების არარსებულ შეცდომებს, რის გამოც მსოფლიო ჩემპიონები ბელოსტენი, დერიუგინი, ვალტერსი, ხომიჩუსი და დაშავებული იოვაიშა იძულებული გახდნენ ძირითადი დროის დამთავრებამდე დაეტოვებინათ მოედანი. მაგრამ დანარჩენმა ახალგაზრდა მოთამაშეებმა თავი როდი შეირცხვინეს — საბჭოთა გუნდმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ფინიშამდე ხუთი წამით ადრე დაწინაურდა კიდეც — 78:76. არბიტრების მიერ დანიშნული საჯარიმოს წყალობით ამერიკელებმა შეძლეს ძირითადი დრო ფრედ დაემთავრებინათ.

პირველ დამატებით ტაიმში ლიდერობდნენ სტუმრები, მაგრამ როცა მოედანი დატოვა უკანასკნელმა ჩემპიონმა საბონისმა (5 პერსონალური), ანგარიში გათანაბრდა, ამერიკელებმა გამარჯვებას მიაღწიეს მხოლოდ მეორე დამატებით ტაიმში, როცა ჩვენს გუნდში დებიუტანტები დარჩნენ.

საბონისმა გუნდს 21 ქულა შესძინა, იოვაიშამ — 16, ბირიუკოვმა და ბელოსტენიმ — 8-8. (საკდესი).

უძლიერესთა შორის

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მატჩში ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ტურკუში დაამარცხა ადგილობრივი „ტურუნი“ ანგარიშით 131:92 (70:48). პირველ მატჩშიც, რომელიც აქ გაიმართა, გამარჯვება საბჭოთა კალათბურთელებს ხვდათ — 89:79 (50:35). ახლა დედაქალაქის არმიელები ხუთ უძლიერეს გუნდთან ერთად გააგრძელებენ ბრძოლას ევროპის საპატიო ჯილდოსთვის.

● ●

37:17

იტალიის ქალაქ თერამოში საბჭოთა ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა იტალიის ნაკრები — 37:17.

ბრინჯაოს პრიზი — „მატჩის დირიჟორს“

„**ლელოს**“ მკითხველებს კარგად ახსოვთ თუ რა დიდი წარმატება ხვდა შარშან, ფრუნზეში გამართული სპორტული ფილმების VIII საკავშირო ფესტივალზე „საქტელერადიოს“ ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოებს „მატჩის დირიჟორი“ (რეჟისორი ჯ. ებრალიძე), რომელმაც დათვალიერებაზე ვერცხლის პრიზი დაიმსახურა. გარდა ამისა, ფილმს მიენიჭა სპეციალური ჯილდო „საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის“.

ამ დღეებში კი „მატჩის დირიჟორს“ ახალი წარმატება ხვდა წილად — იუგოსლავიის ქალაქ კრანში გამართული სპორტული და ტურისტული ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალზე მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს „სამთავა“ გადაეცა. სულ ფესტივალზე მსოფლიოს 25 ქვეყნის 127 ფილმი იყო წარმოდგენილი. კომისიამ კი, შერჩევის შედეგად, საკონკურსოდ დაუშვა 57 სურათი. მათი ბედი უნდა გადაეწყვიტა საერთაშორისო ჟიურის, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უნგრეთის, ეგვიპტის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები.

წინასწარი სელექცია ქვეყნების უმეტესობამ თითო-ოროლა ფილმით გაიარა. იუგოსლაველ კინემატოგრაფისტებს საკონკურსოდ 8 ფილმი შემორჩათ, აშშ — ექვსი ფილმით წარსდგა, კანადა — ხუთით, სსრ კავშირი — ოთხი სურათით: ცურვის სწავლება „ძუძუმწოვარა“ ბავშვებისათვის („სოიუზსპორტფილმი“), „მძლეოსნობა. ხტომები, ოლიმპიადა-80“ („ცენტრნაუჩფილმი“), „ოქროს მთები“ (კუიბიშევის კინოსტუდია), და „მატჩის დირიჟორი“ (საქტელერადიოს ტელეფილმების სტუდია). ოთხივე ფილმმა პირველობისათვის ბრძოლა განაგრძო ფინალურ სტადიაშიც, სადაც კონკურსის ჯილდოები სულ 25 ფილმს შორის უნდა განაწილებულიყო. მათგან ჟიურიმ ერთ-ერთ საუკეთესოდ ცნო „მატჩის დირიჟორი“, რომელმაც პირველ სამეულში დაიმკვიდრა ადგილი და მესამე მთავარი პრიზი — ბრინჯაოს „სამთავა“ დაიმსახურა.

მაყურებლებმა და ჟიურიმ გულთბილად მიიღეს ქართველ კინემატოგრაფისტთა ეს ნახელავი. ფილმის მიხედვით მსაჯი სპორტის ნებისმიერ სახეობაში განზოგადებული პლასტიკური მთავარი ფიგურაა. ქართველ კინოოსტატთა გადამღები კამერა ერთდროულად რამდენიმე მსაჯს „ადევნებს“ თვალს: აქ ნახავთ ფართო პლანების ურთიერთკავშირს, რასაც საოცარი სიზუსტით ერწყმის მონტაჟი, რიტმი, მუსიკა და იუმორი. სწორედ ამ ხერხების ოსტატურმა გამოყენებამ მოუტანა „მატჩის დირიჟორს“ დამსახურებული წარმატება.

ოქროს „სამთავა“ (გრან პრი) წილად ხვდა ამერიკულ ფილმს „სერფინგი ცხადად“, ვერცხლის პრიზი კი ბელგიურ სურათ „სტადიონს“ გადაეცა.

რედაქტორი ა. ბასილაია

ვ. ი. ლენინის სახელობის
„თბილისის „დინამოს“
სტადიონი

ფეხბურთი
21 ნოემბერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი
მატჩი ჭაბუკთა შორის

**სსრ კავშირი (ნაკრები) —
პოლონეთი (ნაკრები)**

დასაწყისი 15 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთების საერთო გაყიდვა 20 და 21 ნოემბერს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

● ჩემპიონატები ● ტურნირები ● ჩემპიონატები ტურნირები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08556